5. სსიპ კასპის პროფესიული კოლეჯი დაარსდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წლის 25 მარტს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება განახორცილა მხოლოდ მიმდინარე 2021 წელს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი ამ ეტაპისთვის არ არსებობს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ავრტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასკვნაში გამოთქმული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია და განხორციელებულია არსებული, 2021 წლის კატალოგის რედაქტირება.

6. საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია, მისი ინტერესების გათვალისწინება დაწესებულების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამისთვის დაწესებუელბას აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა, შემუშავებული აქვს პროცედურები, ასევე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, პროფესიული სტუდენტები და მასწავლებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვის მეთოდოლოგია და სხვადასხვა კითხვარები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვები, ინიციატივები, შენიშვნები გროვდება და ანალიზი ხორციელდება საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისა და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული პირის/პირების მიერ.

ექსპერტების მიერ ვიზიტისას შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ განხორციელებული „კომპიუტერული ქსელის და სისტემების ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ფარგლებში სკოლის მოსწავლეების გამოკითხვა", რომელმაც მოიცვა თემის 21 სკოლის მე-8, მე-9, მე-10 კლასის მოსწვლეები (ჯამში 389 რესპოდენტი). შემოსული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დაწესებულების სამოქმედო გეგმაში ასახული იქნა შესაბამისი ღონისძიებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულებისვებ-გვერდი https://kc.edu.ge და სოცოლური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/profile.php
- სსიპ კასპის პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები;
- სსიპ კასპის პროფესიული კოლეჯსა და ინტერნეტ პროვაიდერთან ჰოსტინგისა და დომენის ხელშეკრულებები;
- სსიპ კასპის პროფესიული კოლეჯის „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“;
- სსიპ კასპის პროფესიული კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურა“
- სსიპ კასპის პროფესიული კოლეჯის „ხარისხის მართვის მექანიზმები“;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია დაწესებულებისპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

*1. სამღებრო სამუშაოების წარმოება*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სამღებრო სამუშაოების წარმოება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში / Basic Vocational Qualification in Wall Covering Works |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია ბრძანებით N30 (1.03.2021 წ.), ცვლილება შესულია ბრძანებით N153 (25.11.2021 წ.) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. კასპი. დავით აღმაშენებლის 168 ვ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40<br>ქ. კასპი. დავით აღმაშენებლის 168 ვ.<br>მოდულური. |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება პროგრამისთვის „სამღებრო სამუშაოების წარმოება“.*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

1. სამღებრო სამუშაოების წარმოება

**2.საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1**პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (ბრძ. №25, 19.02.2021წ). პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „სამღებრო სამუშაოების წარმოება" (მესამე დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა კოლეჯის ადმინისტრაციასთან და განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B და C გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:

A გარემო - ოთახი 205. (ფართობი 43 კვ.მ.). გარემოში განთავსებულია - 20 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ტუმბო. სასწავლო გარემოში შეკიდულია 2 დაფა. წელიწადში კოლეჯს დაგეგმილი აქვს 40 პროფესიული სტუდენტის მიღება 2 ცვლაში სწავლების შესაძლებლობით. 2021 წლის მიღებით კოლეჯს პროგრამაზე ჰყავს 11 აქტიური პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებამ წარმოადგინა A გარემოსთვის შეძენილი ინვენტარის შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტები (მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტებისთვის (150 ერთეული), დაფების, მაგიდები და სკამები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და სხვ.). ექსპერტთა შეფასებით გარემო გამტარუნარიანია ორი ჯგუფისთვის ორცვლიანი სწავლის პირობებში.

B გარემო - ოთახი 103. (ფართობი 43 კვ.მ.). გარემო უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე.

C გარემო - პრაქტიკის სივრცე წარმოადგენს ცალკე მდგომ ერთსართულიან შენობას. ექსპერტთა მიერ შემოწმდა აღნიშნული გარემო. კოლეჯს შეძენილი აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სრული კომპლექსი. C გარემო დამატებით უზრუნველყოფილია ჭერზე განთავსებული ცენტრალური გამწოვით. გარემო უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. ასევე აღსანიშნავია, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გარკვეული ნაწილი კოლეჯს შეუძინა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

საკუთრებაში გადასცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ). წარმოდგენილია აღჭურვილობის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა შეფასებით გარემო გამტარუნარიანია ორი ჯგუფისთვის ორცვლიანი სწავლის პირობებში. აღსანიშნავია, რომ C გარემო განკუთვნილია 3 პროგრამისთვის - „თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „იატაკისა და ფილის სამუშაოებისთვის“ და აღნიშნული პროგრამისთვის. ინტერვიურებისას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარემო გადაიტიხრება სამ ნაწილად და თვითოეული პროგრამის ფარგლებში შესაბამის გარემოში განხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობა.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 26. მათ შორის 4 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულები. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებითდა ასევე გასაუბრებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და სწავლება პირველად ხორციელდება. რამოდენიმე მოდულების განმახორციელებელ პირს გააჩნია მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯს ყავს ახალი პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მასწავლებლები. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ასეთ პირებს დაატრენინგებენ, რათა შეძლონ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასება.
ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის №28 ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული პროფესიული სტანდარტისა და ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაში. მისი უშუალო ჩართულობით შემუშავდა მოდულები.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
5. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული სასწავლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად არის კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკარმა ექსპერტებს აჩვენა კომპიუტერში განთავსებული სასწავლო რესურსი. ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, ყველა კომპიუტერში ატვირთულია ელექტრონული სახელმძღვანელოები, რათა ადვილად იყოს ისინი ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ახდენენ მასალების ამობეჭდვას საკითხების მიხედვით.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს: სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას; სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენას; საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, მისი განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. მაქსიმალური ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40-ით.

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 142 290 ლარი და ხარჯების ნაწილში - 142 290 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება - 18 480 ლარი, ნედლეული და მასალები - 52 420 ლარი, სხვა ხარჯი - 71 390 ლარი; რენტაბელობის ზღვარი არის 6.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

რეკომენდაცია:

**სასურველია დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის მიზნობრივი დაფინანსების წილი პროპორციულად განსაზღვროს არსებული და ახალ პროგრამებზე მოთხოვნილი ჯამური კვოტის მიხედვით ერთ პროფესიულ სტუდენტზე მოსული წილისა და პროგრამებზე მათი სწავლების ხანგრძლივობის მიხედვით და არა პროგრამების რაოდენობაზე დაყრდნობით მათი არაერთგვაროვნების გამო.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამღებრო სამუშაოების წარმოება“;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამღებრო სამუშაოების წარმოება“ ბიუჯეტი;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. №25, 19.02.2021წ)
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები, ხელშეკრულებები, საგადასახადო მოთხოვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐არ შეესაბამება

**2.4.სასწავლოპროცესისორგანიზებადაპროფესიულსტუდენტთაშეფასება**

**2.4.1.** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისთვის მინიჭებისთვის „სამღებრო სამუშაოების წარმოების“ პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა გაიაროს 5 პროფესიული მოდული 35 კრედიტის მოცულობით, საერთო პროფესიული მოდული 5 კრედიტის მოცულობით და 7 ზოგადი მოდული 18 კრედიტის რაოდენობით. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 73 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 52 კვირა. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 58 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 42 კვირა.

მოდულების დაშვების წინაპირობაა მოდული -„სამშენებლო ნახაზების კითხვა“. ეს პირობა სასწავლო გეგმაში დაცულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო ცხრილებისა და კალენდარული გეგმების გადამოწმებცა და ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად;

**2.** საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე, რაც დასტურდება კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.

3. „სამღებრო სამუშაოების წარმოების“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ლექცია, პრეზენტაცია, პროფესიული განხილვები/დისკუსია, (ტექნიკური უნარის) დემონსტრირება, თვალსაჩინოებების/სლაიდების დემონსტრირება, კეთება ინსტრუქტაჟით. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზრუნებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მათ ჩაუტარდებათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე დანადგარები და აპარატურა, რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას.

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმების შესახებ. ამჟამად, დაწესებულებას არ ჰყავს შშმ, სსსმ და სხვა პირები, რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას დაწესებულებას გააჩნია მზაობა გაითვალისწინოს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმები/ხელშეკრულებები მიმდინარე ეტაპზე არ არის გაფორმებული. ინტერვიურებისას საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე, ვინაიდან გეგმავენ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას - სასწავლო ექსკურსიებს და სხვ. დაწესებულებას პრგრამის ფარგლებში თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული კოლეჯ „სპექტრთან“.

6. A, B და C გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესი“ (ბრძ. №20ნ 18.02.2021 წ.), რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია, რისკების შეფასების მატრიცა. A და B გარემოში ჭერზე განთავსებულია კვამლის წერტილოვანი (ზოლის) სახანძრო დეტექტორი და ცენტრალური გამწოვები. დერეფნები უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, ჰიდრანტებით, საავარიო განათებებით, ხანძრის სიგნალიზაციით. კედელზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები შესრულებული საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ. კოლეჯის ეზოში გამოყოფილია თავშეყრის ადგილი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, გადამზადდა ყველა თანამშრომელი. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაამზადებენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უსაფრთხოებისა და სახანძროუსაფრთხოების საკითხებზე ყოველ 6 თვეში ერთხელ. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია და პსდ-ს აქვს დადებითი დასკვნა სახანძრო უსაფრთოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. C გარემოში უსაფრთხოების ინსტრუქციები და წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა. C გარემოში შეფასდა რისკები და შემუშავდა შესაბამისი პრევენციული ზომები. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად, C გარემოსთვის გათვალისწინებულია ხელსაბანები და სველი წერტილი. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას სწორი ხედვა აქვს უსაფრთხოების საკითხებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაკავშირებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს  უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამღებრო სამუშაოების წარმოება‘‘;
- სასწავლო გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- კოლეჯ „სპექტრთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
- უსაფრთხოების პოლიტიკა.
- რისკების შეფასების დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4.2.**შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას და გასაჩივრების პროცედურას. კერძოდ, შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა პროცედურებს გადის, სააპელაციო კომისიის შემადგენლობის, მათი უფლება-მოვალეობების და სააპელაციო ვადების შესახებ. აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის ექსპერტების წინა ვიზიტის დროს გაწერილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოდული არ წარმოადგენდა სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. აღნიშნული საკითხი შესწორებულია და ამჟამად დაწესებულების რეგულაციაში სრულყოფილადაა გაწერილი თუ რა ფორმით შეუძლია სტუდენტს მოითხოვოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა, როდესაც საქმე ეხება მოდულს, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის დაშვების წინაპირობას.

ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დაზუსტებულია, როგორც პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირების ვადები შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ, ასევე შეფასების შედეგების შესახებ.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N12 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კასპის კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ადგენს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, ვერიფიკაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის და სამუშაო გეგმის შექმნას, რისკების განსაზღვრას, ვერიფიკაციის განხორციელებას, შედეგების ანალიზს და უკუკავშირს. დაწესებულებას აქვს რისკების შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა რისკი ფასდება შესაბამისი კოეფიციენტით. რომლის თანახმადაც პირველ ეტაპზე განხორციელდება მაღალი კოეფიციენტის მქონე შეფასების ინსტრუმენტები. პროცედურა ითვალისწინებს ვერიფიკაციის დასკვნის შემუშავებას, რომელიც წარედგინება დირექტორს. ასევე ვერიფიკაციის დასკვნის განხილვა და მასზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმის შემუშავება. ვერიფიკაციის მექანიზმებში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირად პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მართვის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით, რომლებიც პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შეფასების სისტემის მონიტორინგს და აფასებს მის ეფექტურობას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის მექანიზმებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2. *თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში/ Basic Vocational Qualification in Wall Covering Works |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია ბრძანებით N30 (1.03.2021 წ.), ცვლილება შესულია ბრძანებით N153 (25.11.2021 წ.) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. კასპი. დავით აღმაშენებლის 168 ვ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40<br>ქ. კასპი. დავით აღმაშენებლის 168 ვ.<br>მოდულური. |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება პროგრამისთვის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი".*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*2. თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი.*

2.საგანმანათლებლო პროგრამები

**2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1**პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. №25, 19.02.2021წ). პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ (III დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B და C გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:
A გარემო - ოთახი 203. (ფართობი 43 კვ.მ.). გარემოში განთავსებულია - 20 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ტუმბო. სასწავლო გარემოში შეკიდულია 2 დაფა. კოლეჯი წელიწადში გეგმავს 40 სტუდენტის მიღებას ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობით. მიმდინარე წლის მიღებით კოლეჯს ჰყავს 12 აქტიური პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებამ წარმოადგინა A გარემოსთვის შეძენილი ინვენტარის შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტები (მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტებისთვის (150 ერთეული), დაფების, მაგიდები და სკამები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და სხვ.). ექსპერტთა შეფასებით გარემო გამტარუნარიანია ორი ჯგუფისთვის ორცვლიანი სწავლის პირობებში.
B გარემო - ოთახი 103. (ფართობი 43 კვ.მ.). გარემო უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე.
C გარემო - პრაქტიკის სივრცე (ფართობი 43 კვ.მ.) წარმოადგენს ცალკე მდგომ ერთსართულიან შენობას. ექსპერტთა მიერ შემოწმდა აღნიშნული გარემო. კოლეჯს შეძენილი აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სრული კომპლექსი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამონტაჟებულია გამწოვი. C გარემო დამატებით უზრუნველყოფილია ჭერზე განთავსებული ცენტრალური გამწოვით. გარემო უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 26. მათ შორის 3 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულები. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებითდა ასევე გასაუბრებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და სწავლება პირველად ხორციელდება. რამოდენიმე მოდულების განმახორციელებელ პირს გააჩნია მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯს ყავს ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ასეთ პირებს დაატრენინგებენ, რათა შეძლონ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი გარკვეული მიზეზების გამო შეიცვალა. ექსპერტები გაეცნენ მის პირად საქმეს. პროგრამის ხელმძღვ ანელის კვალიფიკაცია დადასტურდა მისი პირადი საქმით. დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის №28 ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობები.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პსდ-მ წარმოადგინა არსებული სასწავლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად არის კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკარმა ექსპერტებს აჩვენა კომპიუტერში განთავსებული სასწავლო რესურსი. ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, ყველა კომპიუტერში ატვირთულია ელექტრონული სახელმძღვანელოები, რათა ადვილად იყოს ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ახდენენ მასალების ამობეჭდვას საკითხების მიხედვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს: სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას; სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენას; საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. მაქსიმალური ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40-ით.

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 148 290 ლარი და ხარჯების ნაწილში - 148 290 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება - 18 105 ლარი, ნედლეული და მასალები - 58 795 ლარი, სხ -49 400 ლარი. რენტაბელობის ზღვარი არის 5.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**რეკომენდაცია:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასურველია დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის მიზნობრივი დაფინანსების წილი პროპორციულად განსაზღვროს არსებული და ახალ პროგრამებზე მოთხოვნილი ჯამური კვოტის მიხედვით ერთ პროფესიულ სტუდენტზე მოსული წილისა და პროგრამებზე მათი სწავლების ხანგრძლივობის მიხედვით და არა პროგრამების რაოდენობაზე დაყრდნობით მათი არაერთგვაროვნების გამო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ბიუჯეტი;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. №25, 19.02.2021წ)
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები, ხელშეკრულებები, საგადასახადო მოთხოვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

**2.4.სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1.** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისთვის მინიჭებისთვის „თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა გაიაროს 5 პროფესიული მოდული - 35 კრედიტის მოცულობით, საერთო პროფესიული მოდული - 5 კრედიტის მოცულობით და 7 ზოგადი მოდული - 18 კრედიტის რაოდენობით. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის - 73 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 56 კვირა. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის - 58 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 46 კვირა.

მოდულების დაშვების წინაპირობაა მოდული -„სამშენებლო ნახაზების კითხვა“. ეს პირობა სასწავლო გეგმაში დაცულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. სასწავლო გეგმაში „რაოდენობრივი წიგნიერების“ მოდულის სწავლება განსაზღვრულია „ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟის“, „მრუდწირული კონსტრუქციების აგებისა“ და „შეკიდული ჭერებისა და მანსარდის მონტაჟის“ მოდულების სწავლების წინ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოდულების სწავლების ლოგიკურობა დაცულია.
სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო ცხრილებისა და კალენდარული გეგმების გადამოწმებცა და ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად;
2. საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე, რაც დასტურდება კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.
3. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ლექცია, პრეზენტაცია, პროფესიული განხილვები/დისკუსია, (ტექნიკური უნარის) დემონსტრირება, თვალსაჩინოებების/სლაიდების დემონსტრირება, კეთება ინსტრუქტაჟით. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზრუნებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და კოლეჯის მიერ ჩატარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე დანადგარები და აპარატურა, რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას.
ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4.პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმების შესახებ. ამჟამად, დაწესებულებას არ ჰყავს შშმ, სსსმ და სხვა პირები, რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას დაწესებულებას გააჩნია მზაობა გაითვალისწინოს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. თუმცა, მემორანდუმი გაფორმებულია კომპანია „კნაუფთან“. ინტერვიურებისას საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გეგმავენ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას - სასწავლო ექსკურსიები და სხვ. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კოლეჯი. კომპანია ასევე ეხმარება კოლეჯს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება/დატრენინგებასთან დაკავშირებით.

6. A, B და C გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესი“ (ბრძ. №20ნ 18.02.2021 წ.), რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია, რისკების შეფასების მატრიცა. A და B გარემოში ჭერზე განთავსებულია კვამლის წერტილოვანი (ბოლის) სახანძრო დეტექტორი და ცენტრალური გამწოვები. დერეფნები უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, ჰიდრანტებით, საავარიო განათებებით, ხანძრის სიგნალიზაციით. კედელზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები შესრულებული საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ. კოლეჯის ეზოში გამოყოფილია თავშეყრის ადგილი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, გადამზადდა ყველა თანამშრომელი. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაამზადებენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უსაფრთხოებისა და სახანძროუსაფრთხოების საკითხებზე ყოველ 6 თვეში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, რაც გაცემული იქნა საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ. C გარემოსთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დაკავშირებით აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების საკითხები იქნება დაცული რეგულაციების შესაბამისად. უსაფრთოების ინსტრუქციები და წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა. C გარემოში შეფასდა რისკები და შემუშავდა შესაბამისი პროვენციული ზომები. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად, C გარემოსთვის გათვალისწინებულია ხელსაბანები და სველი წერტილი. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას სწორი ხედვა აქვს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი‘‘;
- სასწავლო გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- კომპანია „კნაუფთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
- უსაფრთხოების პოლიტიკა.
- რისკების შეფასების დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐არ შეესაბამება

**2.4.2.**შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
6. A, B და C გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესი“ (ბრძ. №20ნ 18.02.2021 წ.), რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია, რისკების შეფასების მატრიცა. A და B გარემოში ჭერზე განთავსებულია კვამლის წერტილოვანი (ბოლის) სახანძრო დეტექტორი და ცენტრალური გამწოვები. დერეფნები უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, ჰიდრანტებით, საავარიო განათებებით, ხანძრის სიგნალიზაციით. კედელზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები შესრულებული საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ. კოლეჯის ეზოში გამოყოფილია თავშეყრის ადგილი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, გადამზადდა ყველა თანამშრომელი. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაამზადებენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უსაფრთხოებისა და სახანძროუსაფრთხოების საკითხებზე ყოველ 6 თვეში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, რა გაწერა საგანგებო სიტუაციების სამსახურმა. C გარემოსთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების საკითხები იქნება დაცული რეგულაციების შესაბამისად. უსაფრთოების ინსტრუქციები და წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა. C გარემოში შეფასდა რისკები და შემუშავდა შესაბამისი პროვენციული ზომები. სანიტარულ - ჰიგიენური პირობების დასაცავად, C გარემოსთვის გათვალისწინებულია ხელსაბანები და სველი წერტილი. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას სწორი ხედვა აქვს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შედუღება“;
- სასწავლო გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უსაფრთხოების პოლიტიკა.
- რისკების შეფასების დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4.2.**შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას და გასაჩივრების პროცედურას. კერძოდ, შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა პროცედურებს გადის, სააპელაციო კომისიის შემადგენლობის, მათი უფლება-მოვალეობების და სააპელაციო ვადების შესახებ. აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის ექსპერტების წინა ვიზიტის დროს გაწერილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოდული არ წარმოადგენდა სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. აღნიშნული საკითხი შესწორებულია და ამჟამად დაწესებულების რეგულაციაშუ სრულყოფილადაა გაწერილი თუ რა ფორმით შეუძლია სტუდენტს მოითხოვოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა, როდესაც საქმე ეხება მოდულს, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის დაშვების წინაპირობას.

ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დაზუსტებულია, როგორც პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირების ვადები შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ, ასევე შეფასების შედეგების შესახებ.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N12 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კასპის კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ადგენს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, ვერიფიკაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის და სამუშაო გეგმის შექმნას, რისკების განსაზღვრას, ვერიფიკაციის განხორციელებას, შედეგების ანალიზს და უკუკავშირს. დაწესებულებას აქვს რისკების შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა რისკი ფასდება შესაბამისი კოეფიციენტით. რომლის თანახმადაც პირველ ეტაპზე განხორციელდება მაღალი კოეფიციენტის მქონე შეფასების ინსტრუმენტები. პროცედურა ითვალისწინებს ვერიფიკაციის დასკვნის შემუშავებას, რომელიც წარედგინება დირექტორს. ასევე ვერიფიკაციის დასკვნის განხილვა და მასზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმის შემუშავება. ვერიფიკაციის მექანიზმებში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირად პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მართვის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით, რომლებიც პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შეფასების სისტემის მონიტორინგს და აფასებს მის ეფექტურობას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის მექანიზმებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

5. ელექტროობა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია ბრძანებით N30 (1.03.2021 წ.), ცვლილება შესულია ბრძანებით N153 (25.11.2021 წ.) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | შიდა ქართლი, კასპი, აღმაშენებლის ქუჩა 168 ვ. |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

## პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*5. ელექტროობა*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free



## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*5.ელექტროობა*

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დირექტორის 2021 წლის 01 მარტის N30 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია, რომ კოლეჯის მიერ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ქვოტა თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

ა) მოდულის განხორციელბისათთვის საჭირო სასწავლო (A C და B) გარემო;

ბ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიეტის რესურსი;

დ) პროგრამის ხანგრძლივობა.

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება მიმდინარეობს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სათანადოდ მოწყობილ, შესაბამის აღჭურვილობის მქონე A, C დაB სივრცეში ორ ცვლაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესეებულებას განსაღვრული აქვს შემდეგი სასწავლო გარემო;

A,C (აუდიტორია N104) გარემო-ფართი 43,0კვ.მ.-დატვირთვა AC გარემოში -85,79% (521სთ). გარემოში განთავსებულია 20 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვი განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ტუმბო, სასწავლო გარემოში შეკიდულია 2 დაფა. რაც დასტურდება ექსპერტების მიერ ვიზუალური დათვალიერებით შესყიდვების/მიღება ჩაბარების დოკუმენტებით.

B (აუდიტორია-N103) გარემო-ფართი 43,0კვ.მ დატვირთვა B გარემოში-(67სთ) გარემოში განთავსებულია 20 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი. პროფესიული მასწავლებლისთვის 1 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი. გარემოში შეკიდულია პროექტორი. რაც დასტურდება ექსპერტების მიერ ვიზუალური დათვალიერებით შესყიდვების/მიღება ჩაბარების და ნათხოვრობის ხელშეკრულებით/დოკუმენტებით. B გარემო განსაზღვრულია 7 სხვადასხვა პროგრამისთვის 3 საათიანი დატვირთვით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ამ ეტაპზე დაწესებულების მიერ მოწყობილია საჭირო მატერიალური რესურსით B გარემო და განთავსებულია სასწავლო ოთახში.

პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს კასპი ელექტროაპარატთან:

სსიპ კასპის კოლეჯსა და სს კასპი ელექტროაპარატს შორის შეთანხმებული მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 40, ორ ცვლაში სწავლების გათვალისწინებით. ორგანიზაციის კუთვნილი შენობა მდებარეობს ქ. კასპი სააკაძის N 4, გაცნობით პრაქტიკის განხორციელებისთვის ორგანიზაციას გააჩნია საკმაოდ დიდი და თანამედროვე ტექნიკური დონის შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომლის საშუალებითაც მსმენელებს შეუძლიათ სრულფასოვნად აითვისონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის-17. მათ შორის 3 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პროფესიული მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია. პროფესიულ მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“ .

პროგრამისთვის განსაზღვრულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულები. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დოკუმენტებითდა ასევე გასაუბრებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და სწავლება პირველად ხორციელდება. რამოდენიმე მოდულების განმახორციელებელ პირს გააჩნია მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯს ყავს ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ასეთ პირებს დაატრენინგებენ, რათა შეძლონ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასება.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. რაც დასტურდება მისი პირადი საქმითა და გასაუბრებით. ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიურებით ირკვევა, რომ ყველა სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალურ გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებით და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

7. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40-ით. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. რენტაბელობის ზღვარი არის 6.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**რეკომენდაცია:**

**სასურველია დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის მიზნობრივი დაფინანსების წილი პროპორციულად განსაზღვროს არსებული და ახალ პროგრამებზე მოთხოვნილი ჯამური კვოტის მიხედვით ერთ პროფესიულ სტუდენტზე მოსული წილისა და პროგრამებზე მათი სწავლების ხანგრძლივობის მიხედვით და არა პროგრამების რაოდენობაზე დაყრდნობით მათი არაერთგვაროვნების გამო.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. №25, 19.02.2021წ)
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები, ხელშეკრულებები, საგადასახადო მოთხოვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

### 6.სამკერვალო წარმოება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სამკერვალო წარმოება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში / Basic Vocational Qualification in Sewing Industry |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0723 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია ბრძანებით N30 (1.03.2021 წ.), ცვლილება შესულია ბრძანებით N153 (25.11.2021 წ.) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | შიდა ქართლი, კასპი, აღმაშენებლის ქუჩა 168 ვ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 114 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*6. სამკერვალო წარმოება*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**
**6.სამკერვალო წარმოება**

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.2** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. №25, 19.02.2021წ). პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „სამკერვალო წარმოება“ (III დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული იყო 60 პროფესიული სტუდენტი, თუმცა წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა რეკომენდაციით იგი შემცირდა 30 პროფესიულ სტუდენტამდე კოლეჯის არსებული რესურსების გათვალისწინებით ორ ცვლაში სწავლების პირობით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B და C გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო: A გარემო - ოთახი 106 (ფართობი 43 კვ.მ.), დატვირთვა - 30.74 % (684საათი). გარემოში განთავსებულია - 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ტუმბო. სასწავლო გარემოში დაკიდებულია 2 დაფა. დაწესებულებამ წარმოადგინა A გარემოსთვის შეძენილი ინვენტარის შესყიდვების ბლანკები, მიღება-ჩაბარების დოკუმენტები (მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტებისთვის (150 ერთეული), დაფები, მაგიდები და სკამები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და სხვ.). ექსპერტთა შეფასებით გარემო გამტარუნარიანია ორი ჯგუფისთვის ორცვლიანი სწავლის პირობებში.

B გარემო - ოთახი 103 (ფართობი 43 კვ.მ.), დატვირთვა - 3.01 % (67 საათი). გარემო სრულად არის აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

C გარემო, რომელიც ასევე სრულად არის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული ინვენტარით აღჭურვილი. პრაქტიკის სივრცეს წარმოადგენს - კაბინეტი N102 (ფართობი 67 კვ.მ.), დატვირთვა - 66,25 % (1474 საათი). C გარემოს მატერიალური რესურსის დამონტაჟებულია უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები ოთხ პარტნიორ ორგანიზაციასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა — უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 18. მათ შორის 3 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“.

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულები. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებითდა ასევე გასაუბრებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და სწავლება პირველად ხორციელდება. რამოდენიმე მოდულების განმახორციელებელ პირს გააჩნია მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯს ყავს ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ასეთ პირებს დაატრენინგებენ, რათა შეძლონ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასება.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმით. დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის №28 ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობები.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
5. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პსდ-მ წარმოადგინა არსებული სასწავლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად არის კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკარმა ექსპერტებს აჩვენა კომპიუტერში განთავსებული სასწავლო რესურსი. ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, ყველა კომპიუტერში ატვირთულია ელექტრონული სახელმძღვანელოები, რათა ადვილად ხელმისაწვდომი იყოს პროფესიული სტუდენტისთვის.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ახდენენ მასალების ამობეჭდვას საკითხების მიხედვით.
6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს: სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას; სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენას; საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. მაქსიმალური ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30-ით.

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. რენტაბელობის ზღვარი არის 6.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**რეკომენდაცია:**

**სასურველია დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის მიზნობრივი დაფინანსების წილი პროპორციულად განსაზღვროს არსებული და ახალ პროგრამებზე მოთხოვნილი ჯამური კვოტის მიხედვით ერთ პროფესიულ სტუდენტზე მოსული წილისა და პროგრამებზე მათი სწავლების ხანგრძლივობის მიხედვით და არა პროგრამების რაოდენობაზე დაყრდნობით მათი არაერთგვაროვნების გამო.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. №25, 19.02.2021წ)
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები, ხელშეკრულებები, საგადასახადო მოთხოვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4.სასწავლოპროცესისორგანიზებადაპროფესიულსტუდენტთაშეფასება**

**2.4.1.** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა - 76 კვირა, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 86 კვირა. წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებულია ორკვირიანი შუალედი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით დგება სასწავლო ცხრილები და კალენდარული გეგმები, რაც გადამოწმდა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე, რაც დასტურდება კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.

3.„სამკერვალო წარმოების“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამაში გასწორდა ტექნიკური უზუსტობები. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე დანადგარები და აპარატურა, რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას.

4.პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმების შესახებ. ამჟამად, დაწეწსებულებას არ ჰყავს შშმ, სსსმ და სხვა პირები, რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, რაც დასტურდება მათთან გაფორმებული 4 ხელშეკრულებით, რომლის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საწარმოო პრაქტიკა.

6. A, B და C გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესი" (ბრძ. №20ნ 18.02.2021 წ.), რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია, რისკების შეფასების მატრიცა. A და B გარემოში ჭერზე განთავსებულია კვამლის წერტილოვანი (ზოლის) სახანძრო დეტექტორი და ცენტრალური გამწოვები. დერეფნები უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, ჰიდრანტებით, საავარიო განათებებით, ხანძრის სიგნალიზაციით. კედელზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები შესრულებული საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ. კოლეჯის ეზოში გამოყოფილია თავშეყრის ადგილი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, გადამზადდა ყველა თანამშრომელი. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაამზადებენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უსაფრთხოებისა და სახანძროუსაფრთხოების საკითხებზე ყოველ 6 თვეში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, რა გაწერა საგანგებო სიტუაციების სამსახურმა. C გარემოსთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების საკითხები იქნება დაცული რეგულაციების შესაბამისად. უსაფრთოების ინსტრუქციები და წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა. C გარემოში შეფასდა რისკები და შემუშავდა შესაბამისი პროვენციული ზომები. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას სწორი ხედვა აქვს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“;
- სასწავლო გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უსაფრთხოების პოლიტიკა.
- რისკების შეფასების დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4.2.**შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას და გასაჩივრების პროცედურას. კერძოდ, შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა პროცედურებს გადის, სააპელაციო კომისიის შემადგენლობის, მათი უფლება-მოვალეობების და სააპელაციო ვადების შესახებ. აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის ექსპერტების წინა ვიზიტის დროს გაწერილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოდული არ წარმოადგენდა სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. აღნიშნული საკითხი შესწორებულია და ამჟამად დაწესებულების რეგულაციაშუ სრულყოფილადაა გაწერილი თუ რა ფორმით შეუძლია სტუდენტს მოითხოვოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა, როდესაც საქმე ეხება მოდულს, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის დაშვების წინაპირობას.

ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დაზუსტებულია, როგორც პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირების ვადები შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ, ასევე შეფასების შედეგების შესახებ.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N12 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კასპის კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ადგენს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, ვერიფიკაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის და სამუშაო გეგმის შექმნას, რისკების განსაზღვრას, ვერიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

განხორციელებას, შედეგების ანალიზს და უკუკავშირს. დაწესებულებას აქვს რისკების შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა რისკი ფასდება შესაბამისი კოეფიციენტით. რომლის თანახმადაც პირველ ეტაპზე განხორციელდება მაღალი კოეფიციენტის მქონე შეფასების ინსტრუმენტები. პროცედურა ითვალისწინებს ვერიფიკაციის დასკვნის შემუშავებას, რომელიც წარედგინება დირექტორს. ასევე ვერიფიკაციის დასკვნის განხილვა და მასზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმის შემუშავება. ვერიფიკაციის მექანიზმებში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირად პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მართვის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით, რომლებიც პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შეფასების სისტემის მონიტორინგს და აფასებს მის ეფექტურობას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის მექანიზმებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

## 7. ვიზაჟის მომსახურება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ვიზაჟის მომსახურება |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში - Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია ბრძანებით N30 (1.03.2021 წ.), ცვლილება შესულია ბრძანებით N153 (25.11.2021 წ.) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. კასპი, დ. აღმაშენებლის 168-ვ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 53 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 68 |

## პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*7.ვიზაჟის მომსახურება*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | | |
|---|---|---|
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 7. ვიზაჟის მომსახურება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

აღნიშნული ინდიკატორი საავტორიზაციო ვიზიტისას შეფასდა როგორც „მეტწილი“, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის არასრულყოფილად ფლობის გამო.
ვიზიტის დროს შემოწმდა სასწავლო პროცესი, „ვიზაჟის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყენებული აუდიტორიები. პროგრამის განხორციელბისთვის დაწესებულება იყენებს აუდიტორიებს:

- **B** გარემო - აუდიტორია #**103**, აღჭურვილია: 20 კომპიუტერით, პროექტორით, დაფით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილი (პროგრამის ფარგლებში აუდიტორიის დატვირთვა შეადგენს 67 საათს (≈ 6%)). წარმოდგენილი კომპიუტერები დაწესებულების მფლობელობაშია ავტორიზაციის ვადით, მუნიციპალიტეტის სკოლებთან გაფორმებული ნათხოვრობის ხელშეკრულების საფუძველზე. კომპიტერებში ჩატვირთულია პროგრამით გათალისწინებული მოდულის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა;
- **AC** გარემო, აუდიტორია **#107,** აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტისთვის მოწყობილი 15 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი) და 15 სარკე ვიზაჟის სკამით; პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილი, პროექტორით, დაფით, კარადით ინვენტარისა და მასალების შესანახად.
- **A** გარემო, აუდიტორიები #**106 და #203,** აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტისთვის მოწყობილი 20 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი) დაფით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით, პროექტორით.

გამოყოფილია ასევე სივრცე ინსტრუმენტების სტერილიზაცია/დეზინფექციისთვის, რომელიც მოწყობილია სველი წერტილით, ნიჟარით, საპნის დისპენსერი, სტერილიზატორი, ტუმბო, კონტეინერები.

დაწესებულების მიერ, „ვიზაჟის მომსახურების“ პროფესიული პროგრამის ფარგლებში არსებული დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემო, სრულად შეესაბამება და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული უნარების/სწავლის შედეგების მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პსდ-მ წარმოადგინა შესყიდვის აქტები, რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულების მფოლბელობაშია პროგრამის განხორციელბისთვის საჭირო შემდეგი რესურსი: პროფესიული სტუდენტისთვის 15 სამუშაო ადგილი: სარკე განათებით და სამუშაო მაგიდით, 15 მბრუნავი სავარძელი სიმაღლის რეგულაციით; ფუნჯების ნაკრები 2 ც; ჯაგრისები - 15 ც; სავარცხელი 5 ც; მაკრატელი 8; პატარა მაკრატელი 3 ც; რეფილური ყუთი 5 ც; მოსაფარებელი 30 ც; სტერილიზატორი 1 ც; ულტრაიისფერი ნათებით სადეზინფექციო/სასტერულიზაციო მოწყობილობა 2 ც; ფანქრის სათლელი 8 ც; კონტეინერი დეზინფექციისთვის 1 ც; ფუნჯების კონტინერი 8 ც; ლუპა 1 ც; თმის დამჭერი 8 ც; წამწამის ასაპრეხი 8ც; წარბის სავარცხელი 5 ც; წამწამის პინცეტი 3 ც; პინცეტი 13 ც; გიფერი 1ც; ვუდის ნათურა 1 ც; ტატუს აპარატი 1 ც; მანეკენი 1ც; ასევე „პირველადი გადაუდებელი დახმარების" მოდულის აღჭურვილობა: ამბუს ნიღაბი, ლახტი, არტაშანი, სამედიცინო მაკრატლები (3 ც), წამზომი (5ც).

პსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი კვოტა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. 2021 სასწავლო წელს პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვა 26 პირმა. დაწესებულებას სასწავლო პროცესი დაგეგმილი აქვს 2 ცვლაში, 15 პროფესიულ სტუდენტზე ცალ-ცალკე ჯგუფისთვის. წარმოდგენილი რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი კვოტისა და პსდ-ს მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესისთვის.

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სილამაზის მომსახურების 5 ობიექტთან:

1. 2021 წლის 15 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი "Vip Salon"-თან (მისმართი ქ. გორი, სტალინის ქ,#31), პრაქტიკის ობიექტი გამოხატავს **4 პროფესიული სტუდენტისთვის** საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის მზაობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. 2021 წლის 15 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ი/მ თამარ მიშველაშილთან (მისმართი ქ. კასპი, იოსებ გრიშაშვილის ქ.,#26), პრაქტიკის ობიექტი გამოხატავს, **10 პროფესიული სტუდენტისთვის** საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის მზაობას;

3. 2021 წლის 15 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიკრო მეწარმესთან მარინე მერებაშვილთან (Art Salon) (მისმართი ქ. კასპი, პაატას ქ.,#26), პრაქტიკის ობიექტი გამოხატავს, **3 პროფესიული სტუდენტისთვის** საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის მზაობას;

4. 2021 წლის 15 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი “Sun Shine“-თან (მისმართი ქ. გორი, სტალინის ქ,#12), პრაქტიკის ობიექტი გამოხატავს **3 პროფესიული სტუდენტისთვის** საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის მზაობას;

5. 2021 წლის 15 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „სემპრესთან“ ესთეტიკის ცენტრი Beauty Art (მისმართი ქ. გორი, ამილახვრის 26ა), პრაქტიკის ობიექტი გამოხატავს **10 პროფესიული სტუდენტისთვის** საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის მზაობას;

საავტორიზაციო ვიზიტისას ექსპერტების მიერ, ვიდეოზარის გამოყენებით შემოწმდა პრაქტიკის ობიექტები, გარდა ქ. კასპში იოსებ გრიშაშვილის ქ.#26-ში მდებარე ობიექტისა, რომლის მფლობელიც წარმოადგენს ასევე საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. მონიტორინგის დროს, ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა პრაქტიკის ობიექტის ამსახველი ფოტო-მასალა. მიღებული მასალებით დასტურდება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობა მემორანდიმით განსაზღვრული კვოტის (10 პროფესიული სტუდენტი) ფარგლებში.

მემორანდუმებით დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებზე შესაძლებელია საერთო ჯამში 30 პროფესიული სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება და გავლა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, გამოყოფილი სასწავლო გარემო/აუდიტორიები, მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კვოტით განსაზღვრული კონტინგენტისთვის.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას შერჩეული ჰყავს 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან: 14 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 10 - საერთო დარგობრივი მოდულებისთვის და 3 - პროფესიული დარგობრივი მოდულებისთვის. თითოეული მოდულისთვის შერჩეულია მინიმუმ 2 განმახორციელებელი პირი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ განმახორციელებელი პირების რესურსში ცვლილება არ განხორციელებულა.

3. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულები. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებითდა ასევე გასაუბრებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და სწავლება პირველად ხორციელდება. რამოდენიმე მოდულების განმახორციელებელ პირს გააჩნია მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯს ყავს ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ასეთ პირებს დაატრენინგებენ, რათა შეძლონ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასება.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტრდება პერსონალის პირადი საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პირის კვალიფიკაცია ასევე შესაბამისია პსდ-ს მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია დირექტორის 2021 წლის N28 ბრძანებით „სსიპ კასპის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“.
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება მოდულებით გათალისწინებულ სწავლის შედგების შინაარს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. წარმოდგენილი ლიტერატურა ხელმისწავდომია როგორც ელექტრონული სახით, ისე მატერიალურად ბიბლიოთეკაში. ექსპერტების მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული რესურსების არსებობა პსდ-ს ბიბლიოთეკაში. შემოწმების შედეგად დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა და მატერიალური/ელექტრონული სახით არსებობა;
   პსდ-ს შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციებით სსსმ/შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზების მექანიზმები, რომლის თანახმადაც, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესს უზრნველყოფს შესაბამისი სპეციალიტების (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი) ჩართვას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან  სასწავლო რესურსების შემუშავება-ადაპტირებისას. დაწესებულების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დაუბრკოლებელ წვდომას პსდ-ს ნებისმიერ სივრცესთან, მათ შორის ბიბლიოთეკასთან.
6. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგარმა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პსდ  თითოეული სტუდენტზე იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას.  სახელმწიფო ბიუჯეტიდან უზრუნველყოფილია ასევე პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30-ით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ შედგენილი პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებისას საპროგნოზო შემოსავლები და აუცილებელი ხარჯები, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 7 პროფესიული სტუდენტი.

**რეკომენდაცია:**

**სასურველია დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის მიზნობრივი დაფინანსების წილი პროპორციულად განსაზღვროს არსებული და ახალ პროგრამებზე მოთხოვნილი ჯამური კვოტის მიხედვით ერთ პროფესიულ სტუდენტზე მოსული წილისა და პროგრამებზე მათი სწავლების ხანგრძლივობის მიხედვით და არა პროგრამების რაოდენობაზე დაყრდნობით მათი არაერთგვაროვნების გამო.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კასპის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“ დანართებითურთ.
- სილამაზის მომსახურების ობიექტებთან გაფორმებული მომერანდუმები
- სსიპ კასპის კოლეჯის ხარისხი უზრუნველყოფის განვითრების გეგმა
- პერსონალის პირადი საქმეები
- პსდ-ს მიერ განხორციელებული ტრენინგის მასალები და დასწრების ფურცლები
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტები (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 39 14 მაისი 2021 წელი და მიღება-ჩაბარების აქტი)
- ვიზუალური დათვალიერება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

### 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
1. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
2. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
3. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
4. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
5. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-მ წარმოადგენა სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 41 კვირას, ხოლო არაქართულოენოვანი კონტინგენტისთვის - 51 კვირას. წინა ვიზიტის დროს პროგრამის სასწავლო გეგმასთან, კერძოდ მოდულების დაგეგმვის თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, გაცემული იქნა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ და ლოგიკურ განხორციელებას. ვიზიტის დროს გადამოწმდა მეცადინეობათა განრიგი და კალენდარული გეგმები, ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2. პსდ-ს ამ ეტაპისთვის არ ჰყავს სსსმ/შშმ პირი. არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას აქვს რესურსი (პერსონალის მზაობა, დისტანციური სწავლების ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზება, ფორმალური განათლების აღიარება და სხვა) უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორგანიზება პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით და მოახდინოს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული დასტურდება პსდ შიდა რეგულაციებით და პერსონალთან ინტერვიუირებით.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც მოიაზრებს, ვიზაჟის/მაკიაჟის, პროდუქციის ახალი ტრენდებს და სტილებს, რომელთა ფლობა განმახორციელებელი პირების მიერ გავლილი ტრენინგ-კურსების, სემინარების სერტიფიკატებით დასტურდება. აღნიშნული საკითხის შეფასება მეტად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დარგობრივი მოდულების განხორციელების პროცესში, პროფესიული სტუდენტების ნამუშევრების საფუძველზე, რამდენად არის ასახული მათ ნამუშევრებში (მტკიცებულებებში) დარგის თანამედროვე ტენდენციები.

პსდ-ს სასწავლო პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტებით შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმები. ამ ეტაპისთვის მსგავსი სერვისის შეთავაზების აუცილებლობა დაწესებულების წინაშე არ დამდგარა. პერსონალთან ინტერვიურებით დასტურდება მათ მიერ რეგულაციების ცოდნა. აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაციას ფლობენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

4. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან დასტურდება ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი იხ. ზემოთ). მემორანდუმები მოქმედებს უვადოდ. დოკუმენტებით გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მათი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი AC გარემო, მოწყობილია დარგის სტანდარტების გათალისწინებით (სამუშაო ადგილების ფართი, სამუშაო ადგილებს შორის ინტერვალი, განათება), მოწყობილია ფუნჯების გასუფთავება-დეზინფექციისთვის სივრცე. დარგობრივ კაბინეტში (AC გარემო) განთავსებულია უსაფრთხოდ მუშაობის წესები, შესაბამისი პიქტოგრამები, სადეზინფექციო სამუშაოებისთვის განკუთვნილ სივრცეში დეზინფექტანტების გამოყენების წესები. შეფასებულია რისკები და დაგეგმილია პრევენციული ღონისძიებები.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებულია პერსონალის და მასწავლებლების ინსტრუქტაჟი შემდეგ საკითხებზე:

— ახალი კორონავირუსის საფრთხებიდან გამომდინარე პირადი ჰიგიენის წესების დაცვა; იდს და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენება, მათი უსაფრთხოდ შენახვა/მოცილება (11.09.2021).

— შრომის უსაფრთხოება და შრომის კოდექსი, ევაკუაციის გეგმები ღონისძებების და განხორციელება (22.11.2021)

შემუშავებულია პროგრამის ფარგლებში დარგობრივი სამუშაოებისთვის უსაფრთხოების ინსტრუქცია. *პერსონალს მიეცა რეკომენდაციები კორექტირდეს ინსტრუქციაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ:*

- პუნქტი 1.1. „ვიზაჟის სწავლებისთვის დაიშვება პირი, რომელმაც შეისწავლა სამუშაოების უსაფრთხო წარმოების მეთოდები და ხერხები" და ჩამოყალიბდეს შინაარსით პროგრამის პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისთვის ან პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისითვის დაშვებით.

- პუნქტი 1.2. „პროფესიული სტუდენტმა სამ თვეში ერთხელ მაინც უნდა გაიაროს განმეორებითი ინსტრუქტაჟი, რომელსაც ჩაატარებს სამუშაოს ხელმძღვანელი" – 41 კვირიანი პროგრამის ფარგლებში, სადაც დარგობრივი მოდულები პსდ-ში ხორციელდება ფაქტობრივად 22 კვირის (მე-14 კვირიდან 35-ე კვირის ჩათვლით) განმავლობაში (5,5 თვე), გარდა ამისა სწავლებისა და შეფასების ფორმატი მოიცავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. ექსპერტთა აზრით, არაა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*მართებული აღნიშნული უსაფრთხოების მოთხოვნების საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გამოყენება. მიზანშეწონილია განხორციელდეს შესავალი ინსტრუქტაჟი და ყველა რისკის შემცველი სამუშაოს წინ.* ანალოგიური მიდგომით გადაიხედოს და მოერგოს საგანმანათლებლო პროცესსა და პროფესიულ სტუდენტს პუნქტები 1.3. და 1.5.

- პუნქტის 1.7. „აღმოუჩინოს პირველადი დახმარება დაშავებულს, ტრავმატიზმის შემთხვევების შესახებ დაუყონებლივ აცნობოს მასწავლებელს“, მოვიდეს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში.
- კორექტირდეს ტერმინი „სამედიცინო ნარჩენები“;
- გამოირიცხოს ელექტრომოწყობილობების მოხმარებასთან დაკავშირებული ურთიერთგამომრიცხავი პუნქტები, გაიმიჯნოს მასწაველბლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

**რეკომენდაცია: პრაქტიკული კომპონენტის სწავლებამდე შემუშავდეს, ფუნქციებისა და ინსტრუმენტების სადეზინფექციო/სასტერილიზაციო სამუშაოების ჩატარებისთვის კონკრეტული აპარატის მწარმოებლის ინსტრუქციისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის #185 დადგენილების „სამედიცინო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, უსაფრთხოების წესები. კორექტირდეს დოკუმენტი „ვიზაჟის მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შრომის უსაფრთხოების წესები“**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურების“ კალენდარული და მეცადინეობების გეგმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- სსიპ კასპის პროფესიული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 2 ნოემბრის ბრძანება #128 „პროფესიული პროგრამების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნები და წესები“დანართი 6 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურების“ უსაფრთხოების წესები“
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები
- სამუშაო სივრეცში რისკის შეფასების წესი
- რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია
- რისკების შეფასების გეგმა (04.11.2021)
- ვიზუალური დათვალიერებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4.2.**შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას და გასაჩივრების პროცედურას. კერძოდ, შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა პროცედურებს გადის, სააპელაციო კომისიის შემადგენლობის, მათი უფლება-მოვალეობების და სააპელაციო ვადების შესახებ. აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის ექსპერტების წინა ვიზიტის დროს გაწერილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოდული არ წარმოადგენდა სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. აღნიშნული საკითხი შესწორებულია და ამჟამად დაწესებულების რეგულაციაში სრულყოფილადაა გაწერილი თუ რა ფორმით შეუძლია სტუდენტს მოითხოვოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა, როდესაც საქმე ეხება მოდულს, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის დაშვების წინაპირობას.

ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დაზუსტებულია, როგორც პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირების ვადები შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ, ასევე შეფასების შედეგების შესახებ.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N12 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კასპის კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ადგენს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, ვერიფიკაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნს, სამუშაო გეგმის შექმნას, რისკების განსაზღვრას, ვერიფიკაციის განხორციელებას, შედეგების ანალიზს და უკუკავშირს. დაწესებულებას აქვს რისკების შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა რისკი ფასდება შესაბამისი კოეფიციენტით. პირველ ეტაპზე განხორციელდება ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში ვერიფიკაცია, ხოლო შემდგომ ეტაპზე - საშუალო და დაბალი რისკების ჭრილში. განხორციელდება ვერიფიკაციის დასკვნის შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა. ასევე ვერიფიკაციის დასკვნის განხილვა და მასზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმის შემუშავება. ვერიფიკაციის მექანიზმებში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირად პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მართვის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით, რომლებიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შეფასების სისტემის მონიტორინგს და აფასებს მის ეფექტურობას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის მექანიზმებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## 8.კომპიუტერული ქსელი და სისტემები

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია ბრძანებით N30 (1.03.2021 წ.), ცვლილება შესულია ბრძანებით N153 (25.11.2021 წ.) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული ენა |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. კასპი, დავით აღმაშენებლის 168 ვ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*8.კომპიუტერული ქსელი და სისტემები*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*8.კომპიუტერული ქსელი და სისტემები*

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულებისმიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულებისფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯში არსებული როგორც სასწავლო, ასევე მატერიალური რესურსით, რომელიც შეესაბამება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას - 40 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ერთი სასწავლო გარემო: ABC (აუდიტორია N200) რომელშიც განთავსებულია: 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი და პროექტორი. ექსპერტების შეფასებით აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერები, მასალა და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პირი, მათ შორის 3 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

3.დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულები. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა პროგრამისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებითდა ასევე გასაუბრებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და სწავლება პირველად ხორციელდება. რამოდენიმე მოდულების განმახორციელებელ პირს გააჩნია მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯს ყავს ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ასეთ პირებს დაატრენინგებენ, რათა შეძლონ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასება.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არის CISCO-ს ინსტრუქტორი.

5. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები, სადაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ჩათვირთულია ელექტრონული წიგნები, იქვეა განთავსებული პრინტერი სკანერით, რომლის გამოყენებაც შეუზღუდავად შეუძლიათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს: სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას; სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენას; საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. მაქსიმალური ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40-ით.

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. რენტაბელობის ზღვარი არის 8.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**რეკომენდაცია:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

**სასურველია დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის მიზნობრივი დაფინანსების წილი პროპორციულად განსაზღვროს არსებული და ახალ პროგრამებზე მოთხოვნილი ჯამური კვოტის მიხედვით ერთ პროფესიულ სტუდენტზე მოსული წილისა და პროგრამებზე მათი სწავლების ხანგრძლივობის მიხედვით და არა პროგრამების რაოდენობაზე დაყრდნობით მათი არაერთგვაროვნების გამო.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. №25, 19.02.2021წ)
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები, ხელშეკრულებები, საგადასახადო მოთხოვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულებისთანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის შედგენილია გეგმა. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების წინაპირობები, საათების კვირეული ზღვრული რაოდენობა, საგამოცდო ორკვირიანი შუალედი წინსწრები მოდულებისთვის. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ვიზიტის

PDF Eraser Free

ფარგლებში განხორციელდა სასწავლო ცხრილებისა და კალენდარული გეგმების გადამოწმებცა და ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული დასტურდება კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.

3. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ ამ მეთოდებს, მაგრამ საჭიროებენ მუდმივ განვითარებას ამ მიმართულებით.

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. ინტერვიურებისას საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე, ვინაიდან გეგმავენ სხვადასხვა აქტივობების, მათ შორის სასწავლო ექსკურსიების განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

6. ABC გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესი“ (ბრძ. №20ნ 18.02.2021 წ.), რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია, რისკების შეფასების მატრიცა. A და B გარემოში ჭერზე განთავსებულია კვამლის წერტილოვანი (ზოლის) სახანძრო დეტექტორი და ცენტრალური გამწოვები. დერეფნები უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, ჰიდრანტებით, საავარიო განათებებით, ხანძრის სიგნალიზაციით. კედელზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები შესრულებული საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ. კოლეჯის ეზოში გამოყოფილია თავშეყრის ადგილი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, გადამზადდა ყველა თანამშრომელი. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაამზადებენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უსაფრთხოებისა და სახანძროუსაფრთხოების საკითხებზე ყოველ 6 თვეში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, რა გაწერა საგანგებო სიტუაციების სამსახურმა. C გარემოსთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების საკითხები იქნება დაცული რეგულაციების შესაბამისად. უსაფრთოების ინსტრუქციები და წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა. C გარემოში შეფასდა რისკები და შემუშავდა შესაბამისი პროვენციული ზომები. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას სწორი ხედვა აქვს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს  უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- სასწავლო გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- უსაფრთხოების პოლიტიკა.
- რისკების შეფასების დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4.2.**შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სისტემას და გასაჩივრების პროცედურას. კერძოდ, შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა პროცედურებს გადის, სააპელაციო კომისიის შემადგენლობის, მათი უფლება-მოვალეობების და სააპელაციო ვადების შესახებ. აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის ექსპერტების წინა ვიზიტის დროს გაწერილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოდული არ წარმოადგენდა სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. აღნიშნული საკითხი შესწორებულია და ამჟამად დაწესებულების რეგულაციაშუ სრულყოფილადაა გაწერილი თუ რა ფორმით შეუძლია სტუდენტს მოითხოვოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა, როდესაც საქმე ეხება მოდულს, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის დაშვების წინაპირობას.

ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დაზუსტებულია, როგორც პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირების ვადები შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ, ასევე შეფასების შედეგების შესახებ.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N12 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კასპის კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ადგენს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, ვერიფიკაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნს, სამუშაო გეგმის შექმნას, რისკების განსაზღვრას, ვერიფიკაციის განხორციელებას, შედეგების ანალიზს და უკუკავშირს. დაწესებულებას აქვს რისკების შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა რისკი ფასდება შესაბამისი კოეფიციენტით. პირველ ეტაპზე განხორციელდება ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში ვერიფიკაცია, ხოლო შემდგომ ეტაპზე - საშუალო და დაბალი რისკების ჭრილში. განხორციელდება ვერიფიკაციის დასკვნის შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა. ასევე ვერიფიკაციის დასკვნის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

განხილვა და მასზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმის შემუშავება. ვერიფიკაციის მექანიზმებში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირად პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მართვის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით, რომლებიც პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შეფასების სისტემის მონიტორინგს და აფასებს მის ეფექტურობას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის მექანიზმებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

27.12.2021 წ.
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: